საქართველოს საპროკურორო საბჭოს

2016 წლის 22 დეკემბრის სხდომის

ოქმი №5

თბილისი, 22 დეკემბერი, 2016 წ.

სხდომა დაიწყო 14.00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საქართველოს საპროკურორო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრები:

- საბჭოს თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
- ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე – გიორგი გაბოძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი – გიგა ძნელაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – გოჩა ფარულავა;
- საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი – ნათია სონღულაშვილი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – ანზორ უსტიაძე;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი – მამუკა ფიფია;
- ქალაქ თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორი – ანა კალანდაძე;
- ქალაქ რუსთავის რაიონული პროკურორი – კონსტანტინე სირაძე;
- ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – სერგო მეთოფიშვილი;
- სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი – ირმა ჭკადუა.

სპეციალურად მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

საქართველოს მთავარი პროკურორი – ირაკლი შოთაძე;

საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე – გიორგი გაბიტაშვილი;

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი – სალომე შენგელია;

საქართველოს სახალხო დამცველი – უჩა ნანუაშვილი;

საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე – ნათია კაციტაძე;

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი – ეკა ხუციშვილი.

კომისიის სამდივნოს წარმომადგენელი:

– ნათია ჩირიკაშვილი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 14:00 საათზე და შეამოწმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. საბჭოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 24 ოქტომბრის №105 ბრძანებით დამტკიცებული „საპროკურორო საბჭოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მისასალმებელი სიტყვა;

2. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება და რეკომენდაციები პროკურატურის მუშაობის შესახებ;

3. სხვადასხვა.

იუსტიციის მინისტრი მიესალმა საბჭოს წევრებს. როგორც მან აღნიშნა, ვინაიდან სახალხო დამცველმა თავის დროზე უარი განაცხადა საპროკურორო საბჭოს წევრობაზე, მისი ინიციატივით, 2016 წლის 28 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე დაყენებულ იქნა წინადადება

სახალხო დამცველის მოწვევის შესახებ, რათა საბჭოს წევრებს მოესმინათ, თუ როგორ აფასებს პროკურატურის მუშაობას სახალხო დამცველი. სწორედ აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, შეიკრიბა საპროკურორო საბჭო 22 დეკემბრის სხდომისთვის, რათა გაეცნოს სახალხო დამცველის ხედვასა და რეკომენდაციებს პროკურატურის მუშაობასთან დაკავშირებით.

ქალბატონი თეა წულუკიანი მიესალმა საქართველოს სახალხო დამცველს და სთხოვა, საბჭოს წარმომადგენელთათვის გაეზიარებინა პროკურატურის მუშაობაში მოქალაქეთა თვალით დანახული პრობლემები.

როგორც ბატონმა უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, იგი ახლაც იმავე პოზიციაზეა და თვლის, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი, მისი მანდატიდან გამომდინარე, უნდა იყოს ნეიტრალური და არა - გადაწყვეტილების მიმღები. სწორედ აღნიშნული ვითარების გათვალისწინებით, თავის დროზე თქვა მან უარი საპროკურორო საბჭოს წევრობაზე.

პირველი რეკომენდაცია, რაზეც ბატონმა უჩამ გაამახვილა ყურადღება, შეეხებოდა საპროკურორო საბჭოს სტრუქტურას; კერძოდ კი, საკითხი შეეხო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციაზე პოლიტიკური თანამდებობის პირის შერჩევას. სახალხო დამცველის მოსაზრებით, არც იუსტიციის მინისტრი და არც სხვა რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირი არ უნდა ხელმძღვანელობდეს აღნიშნულ საბჭოს. ომბუდსმენის განცხადებით, საპროკურორო საბჭო უნდა იყოს პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანო და, შესაბამისად, მისი ხელმძღვანელიც – ნეიტრალური და არა პოლიტიკური ფიგურა.

ზემოთქმულს გამოეხმაურა საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე და კითხვით მიმართა ბატონ უჩას, დაესახელებინა, კონკრეტულად, ვინ უნდა ყოფილიყო საპროკურორო საბჭოს ხელმძღვანელი. ამასთან, ქალბატონმა თეა წულუკიანმა დაამატა, რომ საპროკურორო საბჭოს შექმნის დღიდან ისმის მსგავსი შენიშვნები, რომ იუსტიციის მინისტრი არ უნდა ხელმძღვანელობდეს ამ საბჭოს, თუმცა, ამ დრომდე არ ყოფილა კონკრეტიკა, თუ ვის შეიძლება დაეკისროს ეს უფლებამოსილება.

თემასთან დაკავშირებით ომბუდსმენმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თავად საპროკურორო საბჭომ, როგორ კოლეგიურმა ორგანომ, უნდა გადაწყვიტოს და თავის რიგებიდან შეარჩიოს საკუთარი თავმჯდომარე. უფრო კონკრეტული შემოთავაზება ომბუდსმენს არ ჰქონია, მაგრამ გამოითქვა მზაობა ამგვარის წარმოდგენის შესახებ. პასუხად თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს მოსამართლე თუ ადვოკატი წევრი ვერ იქნებოდა საპროკურორო საბჭოს ხელმძღვანელი გასაგები მიზეზების გამო. ასევე გამორიცხული ჩანდა პარლამენტის დეპუტატის მხრიდან საბჭოს ხელმძღვანელობა. საბჭოს პროკურორი წევრის მიერ კი იმ საბჭოს ხელმძღვანელობა, რომელსაც, საჭირო დროს, მთავარი პროკურორის

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა, თავმჯდომარეს გამორიცხული მიაჩნდა.

ბატონი ომბუდსმენის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა ნათია კაციტაძემ, დამატებით განაცხადა, რომ, გარდა საბჭოს თავმჯდომარის საკითხისა, არსებულ მოდელში პრობლემაა საბჭოს შემადგენლობა; როდესაც საპროკურორო საბჭოს უმრავლესობას პროკურორები წარმოადგენენ, რთული იქნება მთავარი პროკურორის ან/და მისი მოადგილეების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, ვინაიდან საბჭოს წევრი პროკურორები მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილის დაქვემდებარებაში მყოფი პირები არიან.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საპროკურორო საბჭო, პირველ რიგში, პროკურორებისგან უნდა შედგებოდეს. მისი თქმით, საუკეთესო გამოცდილების მქონე დასავლურ ქვეყნებში, სადაც მსგავსი მოდელი მოქმედებს, საპროკურორო საბჭოს ძირითად შემადგენლობას სწორედ პროკურორები წარმოადგენენ.

თავმჯდომარის შერჩევისა და საბჭოს შემადგენლობის საკითხზე ქალბატონმა თეა წულუკიანმა გამოხატა მზაობა, დალოდებოდა სახალხო დამცველის კონკრეტულ რეკომენდაციას, რომელიც იქნებოდა კონკრეტული დასაბუთებით წარმოდგენილი, თუ ვინ შეიძლება იყოს საბჭოს ხელმძღვანელი და როგორ უნდა მოხდეს საბჭოს ფორმირება, ისე, რომ არ დაირღვეს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი, შენარჩუნებულ იქნეს პროკურატურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და საბჭომ, მათ შორის მისმა წევრმა რიგითმა პროკურორებმა, შეძლონ კანონით ნაკისრი ვალდებულებების დამოუკიდებლად და ეფექტურად შესრულება. თავმჯდომარის განცხადებით, ამ რეკომენდაციებში გათვალისწინებული უნდა იყოს ევროპული ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება.

ბატონმა უჩამ აღნიშნა, რომ იგი მთლიანობაში მიესალმება გატარებულ რეფორმას საპროკურორო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით, ხოლო ის შენიშვნები, რაც ზემოთ დასახელდა, აუცილებლად იქნებოდა წარმოდგენილი კონკრეტული რეკომენდაციის სახით.

შემდეგი საკითხი, რაზეც სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა, შეეხებოდა საპროკურორო საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას, რათა საჯარო და ხელმისაწვდომი იყოს საბჭოს საქმიანობის ამსახველი ყველა ოქმი და რეკომენდაცია. საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა თეა წულუკიანმა განმარტა, რომ საპროკურორო საბჭოს ვებგვერდზე ასახულია ამომწურავი ინფორმაცია იმ საქმიანობის შესახებ, რასაც საბჭო შექმნის დღიდან ეწევა, და ყველა ოქმი ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოქალაქისათვის.

ბატონმა უჩა ნანუაშვილმა ისაუბრა პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მისი განცხადებით, კანონმდებლობაში ამ კუთხით არის ხარვეზები და საჭიროა დაზარალებულის უფლებების მკაფიოდ რეგლამენტირება.

სახალხო დამცველმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სამართალდამცველებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტებზე. მისი განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატიდან 2013 წლიდან დღემდე მსგავსი შინაარსის 60-მდე საქმეზე გადაიგზავნა წინადადებები პროკურატურაში, თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთ მათგანზე არ დაწყებულა. სახალხო დამცველის შეფასებით, დასახელებულ საქმეთაგან მნიშვნელოვან ნაწილზე არსებობდა გარკვეული მტკიცებულებები, რაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესაძლებლობას იძლეოდა. აქვე ბატონმა უჩამ დასძინა, რომ მიმდინარე წელს მსგავსი ხასიათის საქმეები მკვეთრად შემცირდა და მათი ოდენობა 9-ს არ აღემატება.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნაზე, რასთან დაკავშირებითაც არსებობდა კანონპროექტი, თუმცა, ამ დრომდე არ იყო მის ამოქმედებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული.

მთავარმა პროკურორმა ომბუდსმენის განცხადებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან გადმოგზავნილ ყველა საქმეზე მოხდა დროული რეაგირება და ჩატარდა აქტიური საგამოძიებო მოქმედებები. მან იქვე განმარტა, რომ საგამოძიებო მოქმედებების და დევნის დაწყება ორი აბსოლუტურად სხვადასხვა პროცესია. მსგავსი სახის საქმეებზე მტკიცებულებების მოპოვება ურთულეს მოქმედებათა თანმიმდევრობაა; პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად სჭირდება არსებული სტანდარტების შესაბამისი უტყუარი მტკიცებულებანი. ბატონმა ირაკლიმ მოიყვანა მაგალითი, როდესაც დაზარალებული საქმეში არსებულ ჩვენებაში ამბობს, რომ მას პოლიციელებმა სცემეს, რის საპირისპიროდაც ხუთი პოლიციელის ჩვენებაში მითითებულია, რომ დაზიანებები წარმოიშვა დაკავების დროს გაწეული წინააღმდეგობის შედეგად. ამ დროს საჭიროა ზედმიწევნით უტყუარი მტკიცებულებების არსებობა – ეს იქნება ვიდეოჩანაწერი თუ სხვა თვითმხილველთა ჩვენებები, რომ შესაძლებელი გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

აქვე მთავარმა პროკურორმა განმარტა, რომ ზემოხსენებულ 60 საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება არ ნიშნავს, რომ გამოძიება ყველა მათგანზე არაეფექტურად ჩატარდა; მაგრამ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მან გამოხატა სრული მზადყოფნა, განსხვავებულ ფორმატში შეხვდეს სახალხო დამცველს და დეტალურად გაიაროს ეს საქმეები. იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება რომელიმე საქმეზე არასათანადოდ

წარმოებული გამოძიება ან რომელიმე პროკურორის მხრიდან გულგრილობა, მოხდება შესაბამისი მკაცრი რეაგირება. ბატონი უჩა ნანუაშვილი მიესალმა ამ წინადადებას და განაცხადა, რომ დეტალურად წარუდგენდა პროკურატურას იმ საქმეებს, რომლებზეც არსებობდა ეჭვი საგამოძიებო მოქმედებების არაეფექტურ წარმოებაზე.

საკითხს გამოეხმაურა ქალბატონი თეა წულუკიანი. როგორც მან განმარტა, ნამდვილად არის შემთხვევები, როდესაც პროკურატურა დევნას ვერ ახორციელებს თავის დროზე არასწორად წარმართული გამოძიების გამო, რაც არა საპროკურორო, არამედ საგამოძიებო კუთხით არსებულ ხარვეზებზე მიანიშნებს. ამიტომაც, ქალბატონმა თეამ ისაუბრა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე და აღნიშნა, რომ, მთავარი არა კარგად შემუშავებული კანონპროექტია, უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკაში მისი იმპლემენტაცის შესაძლებლობაა; მსგავსი უწყების შექმნის შემთხვევაში, აუცილებელია გაიმიჯნოს პროკურატურასთან მიმართებით მისი კომპეტენციები. სწორედ აღნიშნული ეტაპების გავლისა და ეფექტური ანალიზის შემდეგ შესაძლებელი იქნება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. აქვე ქალბატონმა თეამ დასძინა, რომ ამ ეტაპზე იგი ვერ ხედავს საფრთხეს იმისა, რომ პროკურატურა სათანადოდ ვერ უძღვება და თავს ვერ ართმევს მასზე დაკისრებულ საპროკურორო ფუნქციებს. შესაძლებელია, იყოს ხარვეზები, მაგრამ ეს არ არის იმ მასშტაბის, რომ სისტემური პრობლემის ხასიათი ჰქონდეს და საჭიროებდეს, როგორც ამას ითხოვს ომბუდსმენი და არასამთავრობო სექტორი, პარალელური პროკურატურის შექმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის სახით.

ზემოთქმულზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ქალბატონმა ირმა ჭკადუამ. როგორც მან აღნიშნა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში იმატა პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებმა. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა პროკურატურის ჩართვა საგამოძიებო მოქმედებების ადრეულ ეტაპზე, რაც შედარებით შეამცირებდა მტკიცებულებების გაქრობის რისკს; მსგავსი სახის დანაშაულებზე მტკიცებულებების მოპოვება (მხარეთა და მოწმეთა ჩვენებები და ა.შ.) და მათი საქმეში დასაშვებად ცნობა საჭიროებს არსებული კანონმდებლობის დახვეწასა და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას. აქვე მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში, ასევე, საგრძნობლად იმატა სააპელაციო სასამართლოში ბრალდების მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილების ტენდენციამ, რაც თითქმის უმრავლეს შემთხვევაში, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას გულისხმობს.

სახალხო დამცველის პირველი მოადგილე, ქალბატონი ნათია კაციტაძე, დამატებითი კომენტარით გამოეხმაურა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის საკითხს. მისი განცხადებით, თუ პროკურატურას, პოლიციელთა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებულ ქმედებებზე საპროკურორო ზედამხედველობის ფუნქცია დარჩებოდა, მაშინ მეორე საგამოძიებო ორგანოს შექმნას და

ფუნქციონირებას აზრი ეკარგებოდა. რაც შეეხება საპროკურორო ზედამხედველობის რისკებს, პოლიციელთა და პროკურორთა მჭიდრო სამსახურებრივი (კოლეგიალური ანდა მეგობრული) ურთიერთობა იწვევდა რეალურ საფრთხეებს საქმეების არასრულფასოვნად შესწავლის კუთხით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა, საპროკურორო ზედამხედველობის ფუნქცია აღარ ჰქონოდა პროკურატურას და ეს დამოუკიდებელ საგამოძიებო უწყებას შეეთავსებინა. ამასთან, იგი დაეთანხმა იუსტიციის მინისტრის მოსაზრებას, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნასთან დაკავშირებით შემოთავაზებული მოდელი საჭიროებდა დახვეწას და მისი შექმნის შემთხვევაშიც უწყება დაკომპლექტდებოდა მოქმედი გამომძიებლებითა და პროკურორებით, რაც პოლიციელებთან მათი კოლეგიალური ურთიერთობის რისკებს არ გამორიცხავდა.

საკითხს გამოეხმაურა მთავარი პროკურორი, რომელმაც აღნიშნა, რომ, პრაქტიკულად, გამორიცხულია პოლიციელთა და პროკურორთა ახლობლური ურთიერთობა, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელებას ეხება. მსგავსი სახის საქმეებს იძიებს მთავარი პროკურატორის საგამოძიებო ნაწილი, რომელშიც დასაქმებულ პროკურორებს არანაირი შეხება არ აქვთ პოლიციელებთან. ისინი ზედამხედველობას უწევენ საქმის განმხილველ გამომძიებლებს. საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების მთავარი მიზანია ადამიანის უფლებათა დაცვა და არა სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე პირთა მიმართ ჩადენილ გადაცდომებზე ლოიალური დამოკიდებულება.

აქვე ბატონი ირაკლი შეეხო დაზარალებულად ცნობის საკითხს და აღნიშნა, რომ კანონში იმპერატიულად არის მითითებული, თუ როდის უნდა მიენიჭოს პირს დაზარალებულის სტატუსი, რისი შესრულებაც სავალდებულოა ყველა პროკურორისთვის. თუმცა, მან აქვე დასძინა, რომ დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, საჭიროა დამატებითი კრიტერიუმების განსაზღვრა: არის საქმეები, როცა შესაძლებელია, უფრო ადრეულ ეტაპზე განისაზღვროს ეს სტატუსი, თუმცა, ყოველივე ეს საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებას.

ქალბატონი თეა წულუკიანი გამოეხმაურა მთავარი პროკურორის კომენტარს და გამოთქვა მზაობა, იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურას ერთობლივად ემუშავათ დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით კანონში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა, ქალბატონმა სალომე შენგელიამ, საპასუხო კომენტარი გააკეთა სახალხო დამცველის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, მან აღინიშნა, რომ ომბუდსმენის მიერ 2013 წლიდან დღემდე პროკურატურისადმი წარდგენილი 60-ზე მეტი წინადადებიდან უმრავლესობაზე არათუ დაწყებულია გამოძიება, არამედ ჩატარებულია ყველა შესაძლო საგამოძიებო მოქმედება. ქალბატონმა სალომემ ახსენა

ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2015 წლის სხდომა, რომლის მიმდინარეობისას სახალხო დამცველის ყველა სარეკომენდაციო ხასიათის წინადადება არასათანადო მოპყრობის შესახებ საგამოძიებო მოქმედებებთან ერთად დეტალურად იქნა განხილული. სურვილის არსებობის შემთხვევაში, მან გამოთქვა მზაობა 2016 წლის რეკომენდაციების განხილვის თაობაზე. როგორც ქალბატონმა სალომემ აღნიშნა, 2016 წლისთვის სახალხო დამცველმა მთავარ პროკურატურას მიმართა 15 რეკომენდაციით, რომელთაგან მხოლოდ 9 რეკომენდაცია შეეხებოდა არასათანადო მოპყრობის ფაქტს. მისი თქმით, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით (23 რეკომენდაციიდან 18 შეეხებოდა არასათანადო მოპყრობას), მსგავსი ხასიათის მქონე შემთხვევებმა საგრძნობლად იკლო.

ქალბატონმა სალომემ წარმოადგინა შესაბამისი სტატისტიკა, კერძოდ, 2013 წლიდან 2016 წლამდე არასათანადო მოპყრობის ფაქტზე 121 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. ესენი არიან პოლიციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის როგორც რიგითი თანამშრომლები, ისე შესაბამისი თანამდებობის პირები (საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის ყოფილი მინისტრები, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2 თავმჯდომარე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 11 დირექტორი და 8 მოადგილე, პოლიციის 7 უფროსი, მათ შორის, პოლიციის ერთი მოქმედი უფროსი და ა.შ.). რაც შეეხება 2016 წლის სტატისტიკას, ქალბატონი სალომეს განცხადებით, არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 20 პოლიციელის მიმართ, ხოლო სხვა დანაშაულის ფაქტებზე – 52 პოლიციელის მიმართ; პენიტენციური დეპარტამენტის – 9 თანამშრომლის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, სხვა დანაშაულებზე – 11 პირის მიმართ.

აქვე მან ისაუბრა მსგავსი ხასიათის დანაშაულის გამოძიებისას ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რაც, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ სახალხო დამცველის მიერ დაგვიანებით, ხანდახან კი ერთი და ორი წლით გვიან, ხდება მიმართვა სამართალდამცავი ორგანოებისთვის, ეს კი გამოძიების ეფექტურობაზე ახდენს გავლენას და ძნელდება მტკიცებულებების მოპოვება. არის შემთხვევები, როდესაც მოწმეები არ თანამშრომლობენ გამოძიებასთან, დაზარალებული არ იტარებს ექსპერტიზას. პრობლემაა ვიდეოჩანაწერების ამოღებაც, რადგან დამონტაჟებული გარე კამერები ან არ მუშაობს, ან დაზიანებულია; ასევე, დაზარალებულებს არ შეუძლიათ ამოცნობა, ვერ ასახელებენ მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს. როგორც ქალბატონმა სალომემ განმარტა, სწორედ ზემოხსენებული ობიექტური მიზეზების გამო ხშირ შემთხვევაში რთულდება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, ხოლო რაც შეეხება კვალიფიკაციას, პროკურატურა ყოველთვის ითვალისწინებს სახალხო დამცველის

რეკომენდაციას და გამოძიება უმრავლეს შემთხვევაში იწყება იმ კვალიფიკაციით, რომელზეც აპელირებს ხოლმე სახალხო დამცველი.

ომბუდსმენის განცხადებით, კვალიფიკაციის მინიჭების კუთხით სიტუაცია მართლაც გაუმჯობესებულია, თუმცა, გამოძიების დროს, პოლიციის შემთხვევაში, კვლავ არის მნიშვნელოვანი ხარვეზები. ამასთან, ბატონმა უჩა ნანუაშვილმა დადებითად შეაფასა პროკურატურის სპეცდეპარტამენტის მუშაობა და ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე საქმეების სასამართლოში გადაგზავნის ტენდენცია, თუმცა, აქვე დასძინა, რომ საზოგადოებაში რჩება კითხვის ნიშნები მსგავსი საქმეების შერჩევასთან დაკავშირებით და მიესალმებოდა, თუ უფრო გამჭვირვალე იქნებოდა ეს პროცესი და მეტი ინფორმაცია ექნებოდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა პრინციპით და კრიტერიუმებით ხდება მსგავი საქმეების შერჩევა.

საქმეების გადანაწილებასთან დაკავშირებით მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, რომ მოქმედებს ზოგადი წესი, რაც გულისხმობს შემოსული საჩივრების ქრონოლოგიურად შესწავლას. შედეგად, თუ გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი ნიშნები, მათ შორის, არის ახალი გარემოება განაჩენის გადასინჯვაზე შემოსულ საჩივრებთან მიმართებით, იწყება შესაბამისი გამოძიება. როგორც ბატონმა ირაკლი შოთაძემ ახსენა, აქ არ ხდება საქმეების შერჩევა და ყველა შემოსულ საქმეზე პროკურატურა ატარებს სათანადო საგამოძიებო მოქმედებებს; რომელ საქმეზეც მოპოვებული იქნება საჭირო მტკიცებულებები, საქმის შესწავლა იწყება ახლად გამოვლენილი გარემოებებით. მთავარი პროკურორის თქმით, ერთადერთი კრიტერიუმი საჩივრების შემოტანის თარიღია – ადრეული თარიღით შემოტანილ საჩივრებზე გამოძიება უფრო ადრე იწყება, ვიდრე მომდევნო თარიღებით შემოტანილ საქმეებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, მოსამართლე სერგო მეთოფიშვილს, რომელმაც საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინა რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, მან ყურადღება გაამახვილა ქალბატონი ირმა ჭკადუას მიერ გაკეთებულ კომენტარზე სააპელაციო სასამართლოში პროკურორების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით გაზრდილ ტენდენციაზე. როგორც ბატონმა სერგომ აღნიშნა, ვერ გაიზიარებს ამ პოზიციას, ვინაიდან თავად ხელმძღვანელობდა 2016 წლის მარტამდე საგამოძიებო კოლეგიას და გამორიცხავს მსგავსი პრაქტიკის არსებობას. საპროკურორო საბჭოში სახალხო დამცველის წევრის სტატუსით მონაწილეობის თაობაზე მან აღნიშნა, რომ, მისი შეფასებით, ეს მხოლოდ დადებითად წაადგებოდა საბჭოს საქმიანობას და შეიძლება, ამდენი საკითხი დღეს არც დამდგარიყო. ამასთან, ბატონმა სერგომ საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იუსტიციის მინისტრის ხელმძღვანელობით დაფუძნებული საპროკურორო საბჭო არის შესაძლო ვარიანტებს შორის საუკეთესო მოდელი და ამაში რაიმე სახის პრობლემას ვერ ხედავს.

საბჭოს წევრმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე ანზორ უსტიაძემ, ყურადღება გაამახვილა პირის დაზარალებულად ცნობის პრაქტიკაზე. კერძოდ, წარსულში, პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე დადგენილების გამოტანა განცხადების შესვლისთანავე პრაქტიკულად ავტომატურად ხდებოდა, რაც არასწორი იყო. არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პირის დაზარალებულად ცნობისათვის საჭიროა სათანადო მტკიცებულებები დანაშაულის ფაქტის შესახებ. თუ სახეზე არ არის დანაშაულებრივი ქმედება, ვერ მოხდება პირის დაზარალებულად ცნობა. როცა სახეზეა ბრალის სტანდარტი, იქ უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზეა ასევე დაზარალებულის სტანდარტიც. ბატონი ანზორის განცხადებით, ამ საკითხზე შესაძლებელია სახალხო დამცველთან შეხედულებათა გაცვლა.

სამართალდამცავი და სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე ბატონმა ანზორ უსტიაძემ განაცხადა, რომ ყველა რეგიონში არსებობს გარკვეული სახის სირთულეები და აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლისათვის სახალხო დამცველის აპარატთან აქტიურ თანამშრომლობაზე მზაობა გამოხატა.

რაც შეეხება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას, რაზეც სახალხო დამცველი აპელირებდა, ბატონმა ანზორმა აღნიშნა, რომ მსგავსი ორგანოს შექმნა პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს. მაგალითისთვის მან მოიყვანა შემთხვევა, როდესაც მოქალაქე მიმართავს პროკურატურას საჩივრით და თავს დაზარალებულად თვლის, თუმცა, საქმის შესწავლის შედეგად დადგინდება, რომ საქმეში სისხლისსამართლებრივი ნიშნები არ შეინიშნება. ასეთ შემთხვევაში, თუ იგივე მოქალაქე მიმართავს უკვე დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს, რომელიც განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელი უნდა იყოს უფრო სარწმუნო და ვინ შეაფასებს ამ ორი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორეს – ეს და მსგავსი საკითხები ძალიან ძნელი განსასაზღვრი იქნება.

ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძემ სააპელაციო სასამართლოში პროკურორების მიერ დაყენებულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შუამდგომლობების უმრავლესობა სასამართლოს მიერ არ კმაყოფილდება. ის დაეთანხმა ქალბატონ ირმა ჭკადუას იმ საკითხში, რომ სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის დროს განხილული, აღმკვეთ ღონისძიებებთან დაკავშირებული შუამდგომლობების დიდი ნაწილი მთავრდება ბრალდების მხარის სასარგებლოდ. ზემოთქმულის მიზეზად მან დაასახელა შემდეგი გარემოება: როდესაც სასამართლო ხედავს, რომ ბრალდების მხარეს აქვს ძალიან ბევრი საფუძველი, პატიმრობა დაასაბუთოს და, მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ მაინც ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა, იგი, ისევ და ისევ ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე, ზეპირი მოსმენის გარეშე არ იღებს

გადაწყვეტილებას, რათა ბრალდებულს და მის ადვოკატს კიდევ ერთხელ მისცეს საკუთარი პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობა.

ზემოთქმულს გამოეხმაურა ქალბატონი ირმა ჭკადუა და განაცხადა, რომ, როდესაც მსგავს საქმეებზე სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენა ინიშნება, უკვე წინასწარ ცხადი ხდება მსჯავრდებულის მიმართ პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

პასუხად საქართველოს მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, რომ პროკურატურის საქმიანობის ანგარიშში დეტალურად არის წარმოდგენილი სტატისტიკა პროკურატურის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების და მათი დაკმაყოფილების, ასევე, პატიმრობის მოთხოვნის და მათი დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნული სტატისტიკიდან გამომდინარე, მხოლოდ 28%-ის შემთხვევაში ხდება სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება. რაც შეეხება სასამართლოს მიდგომას, როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, მსგავსი საკითხების განხილვისას, მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არსებობს იმისთვის, რომ გამოასწოროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომები, ხოლო საკასაციო სასამართლომ – პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა შეცდომები.

ირმა ჭკადუამ დამატებით ისაუბრა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას გამოკვეთილ პრობლემებზე. კერძოდ, როგორც მან აღნიშნა, ბრალდება დგება იმ რეალობის წინაშე, რომ ხშირად დაპატიმრებულ პირთა მიმართ ვერ ესწრება განაჩენის გამოტანა სასამართლოს მხრიდან და ცხრათვიანი საპატიმრო ვადის ამოწურვის შემდეგ პირი თავისუფლდება წინასწარი პატიმრობიდან; გაუგებარია, რატომ სურს ბრალდების მხარეს პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნა, როცა, არსებული სტატისტიკით, არ არსებობს შემთხვევა, როდესაც გირაოს ქვეშ მყოფი პირი მიიმალა და არ გამოცხადდა დროულად სასამართლო პროცესებზე. არასაპატიმრო პირობებში პირს მეტი შესაძლებლობა აქვს, სათანადოდ დაიცვას საკუთარი უფლებები.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა, ქალბატონმა ნათია სონღულაშვილმა, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს აღნიშნული შეხვედრის ორგანიზებისთვის. მან ყურადღება გაამახვილა მთავარი პროკურორის მიერ 28 ნოემბერს საბჭოს წინაშე წარდგენილ ანგარიშზე, სადაც ასახული იყო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით. ბოლო სამი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2014 წელს, პატიმრობა გამოყენებულ იქნა 4365 პირის მიმართ (32%), 2015 წელს – 3678 პირის მიმართ (30%), ხოლო 2016 წლის 9 თვის განმავლობაში მაჩვენებელმა შეადგინა 2280 პირი (28%). მაშინ, როდესაც 2009-2010 წლების მონაცემების პროცენტული მაჩვენებელი იყო 54%, ხოლო პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი – 40%.

როგორც ქალბატონმა ნათიამ აღნიშნა, პროკურატურის სასწავლო ცენტრი ატარებს მრავალფეროვან სასწავლო (განგრძობადი განათლების) პროცესს, რის საფუძველზეც არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ ამ აქტივობებს სამომავლოდ ექნება დადებითი შედეგი. დღეის მდგომარეობით, შედეგი ის არის, რომ პროკურატურის შუამდგომლობების დასაბუთებულობის ხარისხი ამაღლებულია, გაუმჯობესდა განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერად ცნობის ან განსახორციელებელ საგამოძიებო მოქმედებებზე ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული შუამდგომლობების ხარისხი; თუმცა, გაუმჯობესებაში არ იგულისხმება ის, რომ სასამართლო პროკურატურის ყველა შუამდგომლობას აკმაყოფილებს. ქალბატონმა ნათიამ ხაზი გაუსვა შემთხვევებს, როდესაც სასამართლო არა თუ არ აკმაყოფილებს, თუნდაც, ჩხრეკა-ამოღების კანონიერებას, არამედ ნებართვების გაცემაზეც უარს ეუბნება ბრალდების მხარეს და ეს ხდება არა მხოლოდ მთავარი პროკურატურის მასშტაბით – ვითარება ანალოგიურია ქალაქის და რაიონების პროკურატურის მონაცემებითაც. როგორც ითქვა, აღნიშნული ვითარება გამოწვეულია იმით, რომ სასამართლომ თავადვე აწია ასეთი საგამოძიებო მოქმედებების შემოწმების, დაკმაყოფილების და წინასწარი ნებართვის გაცემის სტანდარტი, რასაც, პროკურატურა ცდილობს, არ ჩამორჩეს.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი შეეხო კანონდარღვევით შედგენილი საგამოძიებო მოქმედებების ოქმების გამოყენება-დაკანონებისა და მათი პროკურორების ან პროკურატურის მიერ სასამართლოში კანონიერად წარმოჩინების საკითხებს. როგორც ქალბატონმა ნათიამ აღნიშნა, თუ ფაქტი ცალსახად არ არის ეტაპობრივად დადასტურებული, რასაც შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა და საფუძველი აქვს, პროკურორს არ შეუძლია წინსწრებით თქმა, საგამოძიებო მოქმედებების დროს უხეშად დაირღვა თუ არა საპროცესო ნორმები; კანონი ამბობს, რომ სამართალშემფარდებელმა უნდა განუსაზღვროს პროკურორს, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების დროს დაირღვა თუ არა არსებითად კანონი. თუ სასამართლომ კანონიერად მიიჩნია კონკრეტული საგამოძიებო მოქმედება ან გასცა ასეთი მოქმედების ჩატარების ნებართვა, შემდგომი ბერკეტი და მექანიზმი არის წინასასამართლო სხდომა.

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ირმა ჭკადუამ, განაცხადა, რომ კანონდარღვევით შედგენილი ოქმების შემთხვევაში, პროკურორმა თავიდანვე უნდა აიძულოს პოლიციელი, რომ ასეთი სახის ოქმები მომავალში არ წარმოადგინოს. თუ პროკურორმა მაინც წარადგინა კანონდარღვევით შედგენილი ოქმები სასამართლოში, მაშინ თვითონ სასამართლომ უნდა აიძულოს პროკურორი, მომავალში ასეთი

ოქმები არ გადასცეს სასამართლოს, რაც ყველაფერთან ერთად თავიდან აგვაცილებს სახელმწიფო რესურსის უმიზნო ხარჯვას.

ჩხრეკის ოქმების კანონიერებასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იუსტიციის სამინისტრო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში აწარმოებს, სულ მცირე, სამ დავას. როგორც ქალბატონმა თეა წულუკიანმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარე მზად იყო მორიგებისთვის, პროკურატურასთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ არ მოხდეს მორიგება აღნიშნულ საქმეებზე, რადგან საჭიროა სტრასბურგის პრეცედენტის დადგენა, რათა გავიგოთ, რა არის შესასწორებელი ეროვნულ კანონმდებლობაში, რა უნდა დახვეწოს პოლიციამ ან პროკურატურამ თავის საქმიანობაში და ა.შ. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე 2017 წელს სტრასბურგის სასამართლო სავარაუდოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც მოგვცემს კანონმდებლობის, ასევე პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობის ხარვეზების დადგენისა და გამოსწორების შესაძლებლობას.

საქართველოს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის გამოყენების შემცირების შესახებ ტენდენცია მან 10 დეკემბრის ანგარიშშიც შეიტანა და ის პოზიტიურად შეაფასა; უზენაესი სასამართლოს შედარებითი სტატისტიკის მიხედვით, 2015 წლის 8 თვის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების საერთო რაოდენობის 31% იყო პატიმრობა, ხოლო 2016 წელს ანალოგიური დროის შუალედში – მხოლოდ 28,5%; ამასთან, წინა წელთან შედარებით, 2016 წელს გაზრდილია არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი, რაც მისასალმებელია.

სახალხო დამცველი გამოეხმაურა ძველ საქმეებს და აღნიშნა, რომ მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი და ახლად შექმნილი დეპარტამენტი (სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი) აგრძელებენ ამ საქმეებზე მუშაობას, თუმცა, გარეშე პირისთვის შესაძლოა, გაუგებარი იყოს, თუ რატომ არის საქმეების ნაწილი საგამოძიებო სამსახურში და მეორე ნაწილი – ახლად შექმნილ დეპარტამენტში. მისი თქმით, მიზანშეწონილი იქნებოდა ამ საქმეების ერთი სამსახურის შიგნით გაერთიანება და საჭიროებისამებრ ადამიანური რესურსის გაძლიერება.

ზემოთქმულს გამოეხმაურა ბატონი ირაკლი შოთაძე და განაცხადა, რომ საგამოძიებო ნაწილში დარჩენილია მხოლოდ რთული კატეგორიის ის საქმეები, რომლებიც სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნამდე არსებობდა და რომლებზეც ჩატარებული იყო მრავალი საგამოძიებო მოქმედება. მხოლოდ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვიდრე ახალი გამომძიებლები საქმის ვათარებაში გაერკვეოდნენ, რათა პროცესი დროში კიდევ უფრო არ გაჭიანურებულიყო, გადაწყდა ასეთი საქმეების საგამოძიებო ნაწილში დატოვება. თუმცა, ყველა ასეთ შემთხვევაში, მთავარ

პროკურატურაში შექმნილია საგამოძიებო ჯგუფები, რომლებშიც ჩართულნი არიან სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გამომძიებლები და საქმეზე ზედამხედველობას ახორციელებენ ამავე დეპარტამენტის პროკურორები.

ქალბატონმა თეა წულუკიანმა მადლობა გადაუხადა სახალხო დამცველს მობრძანებისთვის და მოუწოდა, მომავალში, როცა ჩათვლის, რომ საბჭოზე განსახილველი საკითხები დაგროვდა თავადაც გამოიჩინოს ინიციატივა, საბჭო კი, მზად იქნება, შეიკრიბოს საჭიროებისამებრ და მოისმინოს მისი მოსაზრებები. რაც შეეხება მთავარი პროკურორის მიერ 2016 წლის 28 ნოემბერს საპროკურორო საბჭოს წინაშე წარმოდგენილ ანგარიშს, როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, იგი ხელმისაწვდომია როგორც საპროკურორო საბჭოს, ისე მთავარი პროკურატურის ვებგვერდზე და სთხოვა ომბუდსმენს, გასცნობოდა მას და გამოეთქვა თავისი მოსაზრებები.

სხდომაზე წამოჭრილი საკითხების შეჯამებისას ქალბატონმა თეა წულუკიანმა კვლავ თხოვნით მიმართა სახალხო დამცველს, წარმოედგინა იუსტიციის მინისტრის, როგორც საპროკურორო საბჭოს ხელმძღვანელის, ჩანაცვლების სქემა, რომელიც ევროპულ საუკეთესო გამოცდილებაზე იქნებოდა დაფუძნებული და მოგვცემდა ინსტიტუციურად დაბალანსებული მოდელის მიღების შესაძლებლობას; ამასთან, დაეფიქსირებინა ალტერნატიული ხედვა საბჭოში პროკურორების შემადგენლობის გადასინჯვასთან დაკავშირებით. როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია ომბუდსმენის მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა არ ვარგა და რა არის გასაკრიტიკებელი, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, კონკრეტულად რას გვთავაზობს ომბუდსმენი ხარვეზის გამოსასწორებლად.

დაზარალებულის ინსტიტუტის საკითხთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ, ვინაიდან მონაწილეთა აზრით კანონის არსებული ჩანაწერი პრაქტიკაში ქმნის გარკვეულ პრობლემას, არასწორი ინტერპრეტირების თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია კანონის დაზუსტებაზე მუშაობა.

პოლიციაში, ციხეებსა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით ქალბატონმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ არსებობს პოლიტიკური ნება, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი; თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ამაზე საჭიროა დამატებითი მსჯელობა. აქვე თავმჯდომარემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა პროკურატურის საგამოძიებო შესაძლებლობების გაძლიერებაზე მუშაობა; ამასთან, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს, რომ პოლიციის, სასჯელაღსრულების, სუს-ის, თავდაცვისა და სხვა საგამოძიებო ფუნქციებით აღჭურვილ სისტემაში მომხდარ არასათანადო მოპყრობის

ფაქტებზე გამოძიება აეკრძალოთ ამავე უწყებებს. მისი თქმით, ვინაიდან არჩეულია მიმართულება, რომ გვინდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, შეიქმნება, თუმცა, ის ვერ იქნება სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციით აღჭურვილი ორგანო.

საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა პროკურატურაში შექმნილი სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის ტემპებზე და განაცხადა, რომ, მისი ინფორმაციით, დეპარტამენტი მზად არის, გაფართოების შემთხვევაში, უფრო სწრაფად იმუშაოს, თუმცა, ამისი რესურსი ფიზიკურად არ არსებობს, განსაკუთრებით, უახლესი საბიუჯეტო ცვლილებების ფონზე. მან აქვე დასძინა, რომ, საბედნიეროდ, პროკურატურა კანონით არის დაცული დიდი საბიუჯეტო ცვლილებებისგან. მან ასევე აღნიშნა, რომ სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გამოძიებული საქმის შედეგად, იმავე დღეს ჯამართულ მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, თბილისში არსებული მიწის ნაკვეთი დაუბრუნდა კიდევ ერთ მესაკუთრეს და ეს პროცესი გრძელდება.

საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და შეხვედრა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დასრულდა: 17.50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

თეა წულუკიანი

საბჭოს წევრები:

ანა კალანდაძე

კონსტანტინე სირაძე

გიორგი გაბოძე

გიგა ძნელაძე

ანზორ უსტიაძე

მამუკა ფიფია

გოჩა ფარულავა

ნათია სონღულაშვილი

სერგო მეთოფიშვილი

ირმა ჭკადუა